

**ქართულ-აფხაზური პოსტკოლონიური კონფლიქტი
და ქართულ-რუსული კულტურულ-პოლიტიკური
ურთიერთობები**

საკვანძო სიტყვები: მიმიკრია, პიბრიდულობა, სუბალტერნი, ბინარული ოპოზიციები „ჩემი“ და „სხვა“, კოლონიზატორი – კოლონიზებული, ცენტრი (მეტროპოლია) – პერიფერია

დაცული უნდა იყოს ამ მიწა-წყალსა და ზღვაზე ქართველთა უფლებაც [. . .] კულტურებისთვის ყოველთვის არის ადგილი, მხოლოდ უკულტურო ადამიანები ვერ ეტევიან, ვინაიდან ეთნიკური სიძულვილის გამოვლენა თავისთავად ანტიკულტურულია [ახმადულინა... 1999:3].

1989 წლის 9 აპრილს გაცხადდა საქართველოს ოფიციალური წინააღმდეგობა საბჭოთა იმპერიის ბიუროკრატიული იდეოლოგიის მიმართ. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდანვე საქართველომ დაიწყო საკუთარი იდენტობის დაფიქსირება გლობალურ მსოფლიო პოლიტიკაში.¹ ერთა თვითგამორკვევის პროცესი ჩვენში ახალ მსოფლიო წესრიგთან, სოციალისტური სისტემის მტერ ბანაკთან, „სხვასთან“ (დასავლეთთან) შერთვით აღინიშნა, თუმცა დეკოლონიზაციის ხანგრძლივი პროცესის ხელშემწყობი პრე/პოსტკოლონიური კრიტიკა ორ საუკუნეზე მეტხანს² მიმდინარეობდა ქართულ მხატვრულ და მედიურ დისკურსში.³

პოსტკოლონიური თეორიული მიდგომა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ, წარმოუდგენელია საქართველოს რუსეთის იმპერიასთან/საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებთან „მიერთების“ ისტორიის გათვალისწინების გარეშე, ერთი ქვეყნის მიერ

1 1991 წლის 31 მარტის ეროვნული რეფერენდუმის შედეგებით საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
2 ვგულისხმობთ, 1801 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პუნქტების დარღვევით გამოწვეული უკმაყოფილების დაწყებას ქართულ პოლიტიკურ აზრში დღემდე.
3 ჯერ კიდევ ქართული რომანტიზმის (XIX საუკუნის I ნახევარი) ძირითადი თემა ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და ამ მოვლენის ტრაგიკულობის განცდით აღძრული სევდის რემარკაცია იყო.

მეორე ქვეყნის ძალადობრივად დაქვემდებარების პრეცედენტი კი თავისუფლად შეიძლება კოლონიზაციის ტერმინით აღიწეროს. სტატიაში გამოვყოფთ გარკვეულ სტერეოტიპებს [მედია და სტერეოტიპები],⁴ რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღრმავებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში მიმდინარე კულტურულ პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ისეთი საზოგადოებრივი ფიგურების პუბლიცისტიკამ, როგორებიცაა: ა. ბაქრაძე, მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, გ. ფანჯიკიძე [მიმინოშვილი...1989], ლ. სანიკიძე [სანიკიძე 1994], ნ. გელაშვილი [გელაშვილი 1994] და სხვები. პოსტკოლონიური სუბკულტურული პუბლიცისტიკა, თავისი ნეგატიურ/პოზიტიური მახასიათებლებით, თავისთავად, ახალი ქართული იდენტობის ბაზისურ კატეგორიაში აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც საქართველო დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას, ახალფენადგმული ქვეყნის წინაშე გაჩნდა გლობალური მსოფლიოს გაცნობის და მისადმი ადაპტაციის ბუნებრივი მოთხოვნილება. სწორად აღინიშნა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სახელს იცვლიან საბჭოურ პერიოდში მკაცრად კონტროლირებადი კონიუქტურული გაზეთები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, პირველი – „საქართველოს რესპუბლიკა“, მეორე კი – „ახალგაზრდა ივერიელი“ ხდება. ეს პროცესი მიმანიშნებელია „აქცენტების გადანაცვლებისა არა მხოლოდ იდენტობის კატეგორიებში, არამედ დომინანტურ იდეოლოგიაშიც“ [მაისაშვილი 2010:58].

ფ. ფანონს მიაჩნია [ფანონი 1961], რომ გლობალურ დონეზე დეკოლონიზაციის მიზანი მსოფლიო წესრიგის შეცვლაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ ხერხდება ჯადოსნური ჯოხის საშუალებით. დ. მურის [მური 2001:128] აზრით, საბჭოთა კავშირის რეგიონების პოსტკოლონიური ექსტრაორდინალობა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული.

სუბალტერნის ბრძოლა ტოტალიტარიზმთან

თავისუფლების ძალადობრივად წართმევისა [ტოლიაშვილი 2002; როგავა 1997] და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების პროცესში, ქართველი/აფხაზი სუბალტერნი თავიდან იყენებს მის ხელთ

4 „ცნება „სტერეოტიპი“ 1922 წელს ამერიკელმა ჟურნალისტმა ვალტერ ლიპმანმა შემოიღო. წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“ მან სტერეოტიპი განსაზღვრა, როგორც გამარტივებული, წინასწარშექმნილი წარმოდგენა, რომელიც ადამიანის პირადი გამოცდილებიდან არ გამომდინარეობს.“

არსებულ საშუალებებს და ცდილობს, დაიბრუნოს თვითმყოფადობა, რომელიც დაზიანდა კოლონიური ჩაგვრისას, მაგრამ პოლიტიკურად მოუმზადებელი, სხვის პატრონობას შეჩვეული, შინაგანად ყოველივე ტოტალიტარულისადმი აგრესიულად განწყობილი პოსტსაბჭოთა სუბიექტი, როგორც მოსალოდნელია, ეროვნული მოძრაობის სწორედ იმ ნაწილს აღიარებს, რომელიც ყველაზე პრიმიტიულად ებრძვის დაქვემდებარებულ წარსულს (თანაც, დაქვემდებარება არ არის მხოლოდ იმპერიების თვისება, ელიტურ და დომინირებულ ჯგუფებსაც შეუძლიათ ჰყავდეთ დაქვემდებარებულები ხარისხობრივად, ისევე, როგორც თავად ექვემდებარებიან დომინირებად ინსტიტუტებს) [ჩაკრაბართი 2000:101]. ამ მხრივ, საინტერესო სურათს ქმნის ისეთი პუბლიცისტური ტექსტები, როგორცაა: ა. ონიანის „ისევ და ისევ აფხაზეთის უძველეს ბინადართა შესახებ“ [ონიანი 1999], თ. მიბჩუანის „მეცნიერული ცულლუტობა გრძელდება“ და „მეცნიერული უმეცრება აფხაზეთის დონეში“, პ. თოფურიას „ხრუშჩოვი, აფხაზები და ქართველები“, ა. გრიშაკაშვილის „გამარჯობა, აფხაზეთო! მშვიდობით, საქართველო?!“ [გრიშაკაშვილი 2002] ე. ხოშტარია-ბროსეს „რა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს იაკობ გოგებაშვილმა [ხოშტარია-ბროსე 2001] და სხვა ქართველებმა“, გ. ფანჯიკიძის [ფანჯიკიძე 1993; 1994; 1995] „საით მიდის ადამიანი“, ც. ბრეგვაძის „რუსული სისასტიკე“.

ლიბერალური შეხედულებით, ობიექტური მიზეზების გამო, 90-იანი წლების საქართველოს, უბრალოდ, ვერ ექნებოდა თანმიმდევრული, გააზრებული პოლიტიკური რეფერენციები დასავლეთის მიმართ.

კონფლიქტის სიმწვავე, რომელიც სერიოზულ საომარ მოქმედებაში გადაიზარდა, აფხაზეთის ავტონომიაში მცხოვრებ ყველა ეთნოსს შეეხო, მათ შორის კი, ბუნებრივია, ქართველებს და აფხაზებს, რომლებიც, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, სატიტულო ეთნოსს [ბეგიაშვილი 2007] წარმოადგენდნენ.⁵

გაეროს დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ ორივე მხარე (საქართველო-აფხაზეთი) დამნაშავე იყო ადამიანთა უფლებების აშკარა დარღვევაში. 1998 წლის მაისში კი კვლავ ადგილი ჰქონდა ომისაკენ მიბრუნებას.⁶ ამ ფაქტმა, როგორც პოლიტიკური ანალიტიკოსი კ.

5 „კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20 000-დან 30 000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250 000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა, კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, მოკლული იქნა 2 500-დან 4 000-მდე აფხაზი, 20 000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.“

6 საომარი მოქმედებები განახლდა 1998 წლის მაისში, აფხაზეთის სამხრეთით, გალის რეგიონში, რომელიც საკუთრივ საქართველოს ესაზღვრება.

სვანტე აღნიშნავს [სვანტე 2014], კიდევ ერთხელ „გააქარწყლა ახლო მომავალში კონფლიქტის გადაწყვეტის იმედი“:

ცხადია, რომ ეროვნულ-ნაციონალური ხელისუფლებისაგან „მეტაფიზიკური“ თავისუფლების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი, უკან გადადგმული აღმოჩნდა ცივილურ ინტერესებთან შედარებით (ხშირ შემთხვევაში, განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერები აკეთებდნენ ისეთ საჯარო განცხადებებს, რომლებიც ნეგატიურად განაწყობდნენ საქართველოში ეროვნული უმცირესობების სტატუსით მოსარგებლე ეთნიკურ ჯგუფებს. სათანადოდ „სარგებლობდა ანტიქართული ძალაც“). „პერესტროიკის“ პირობებში კი, როგორც საქართველომ, ასევე აფხაზეთმა იპოვეს საშუალებები დამოუკიდებლობის თაობაზე თავიანთ მოთხოვნათა გამართლებისათვის.

პოსტკოლონიური კონფლიქტი საქართველოში

დასავლეთის სამეცნიერო ენაში ქართულ-აფხაზური ტიპის კონფლიქტს მიესადაგა „პოსტკოლონიური კონფლიქტის“ [დულიე 2010] სახელი. 90-იანი წლების ქართული დისკურსი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ არსებითად საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს პოსტსაბჭოთა კონფლიქტს. იგი არაა მხოლოდ „ქართველ და აფხაზ ნაციონალისტებს“ შორის წინააღმდეგობის შედეგი, არამედ რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი (XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე) დაპირისპირების ნაყოფია [მედია და სტერეოტიპები].⁷

1980/1990/2000-იანი წლების ქართულ მედია მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდთან მიმართებაში ვალიდურია რამოდენიმე სტერეოტიპი, რომელთა განმტკიცებას, მეტ-ნაკლებად, ხელი შეუწყო იმ სახის ესეისტიკამ, როგორიცაა „ცრუ ლეგენდები“ [გასვიანი 1994:6], „აფხაზები და აფხაზური ენა“ [მიბჩუანი 1995:5], შედეგად, მივიღეთ მდგრადი აფხაზური/ქართული სტერეოტიპები:

1. აფხაზების ყველა პრობლემა ქართველების ბრალია;
2. აფხაზი არის „არაჩვენებური“ ანუ „სხვა“ კავკასიელი;

7 ზოგადად, „ხატების“ გამოყენება კოლექტიური იდენტობის შექმნისა და შენარჩუნების სტრატეგიაა, იგი ქმნის მომეტებული საფრთხის განცდას და ამავდროულად, აძლიერებს საზოგადოების წევრების კონსოლიდაციას. სამივე მხარის მიერ (საქართველო, რუსეთი, აფხაზეთი) აღნიშნული ტექნოლოგია გამოიყენებოდა, როგორც საინფორმაციო ომის წარმოების ერთ-ერთი საშუალება. „მედია ინფორმაციის სტანდარტიზებას ახდენს, რათა იგი სტერეოტიპს მიუახლოვოს. ხშირად მედიის მიერ გათამაშებულ პერფორმანსს ადამიანები იდეოლოგიური ბატონობის ფარული სისტემის პასიურ აღქმამდე მიჰყავს, ანუ ობიექტს საკუთარი პოზიციის შემუშავების საშუალებას არ აძლევს“.

ქართული/რუსული სტერეოტიპები (რომელთა განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტატიებმა: „რუსული სისასტიკე“ [ბრეგვაძე 2002:5] ან „მტერს მტერი დავარქვათ“ [მიშველაძე 2002:1]) :

1. რუსი არის დამპყრობელი/აგრესორი;
2. კავკასიისა და რუსეთის ძალით შეთავსება არავის გამოუვიდა;
3. რუსეთი კვლავაც „მარადიული გამოცანაა“.

თუკი საერთო კულტურის ერთიან ისტორიულ დროდ მივიღებთ „საბჭოთა კულტურული“ სივრცის ნიშნულს, ჰარმონიულად შეიძლება, ერთი მხრივ, ქართული კულტურის მიერ საკუთარი თავის აღქმის კომპლექსის განთავსება საერთო საბჭოურ სივრცეში და, მეორე მხრივ, აფხაზური კულტურის კომპლექსისა საბჭოთა საქართველოს ფარგლებში.

სახელმწიფოში სიტუაცია რთულდება, როცა ერთი ნაცია მეორეს აღიქვამს „სხვად“/„არა ჩემიანად“; სხვისადმი დამოკიდებულება კი ხშირად ნეგატიურ-კონფრონტაციული ხასიათით გამოიჩნევა, ამიტომ პერიოდულ დისკუსიებში ვხვდებით არაორაზროვან მინიშნებებს რუსული პოლიტიკის ორპოლუსიან ბუნებაზე. სამწუხაროდ, დაინტერესებული მხარეები არ თაკილობენ საერთაშორისო სამართლის ნორმების და გაეროს წესდების თავისუფალ ინტერპრეტაციასაც, სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს თავის სტატიაში „საქართველო დასაშლელად მზადაა“ თ. ხაბეიშვილი [ხაბეიშვილი 1995:5-3]⁸, როცა აღმოაჩენს, რომ 90-იანი წლებიდან დაშლადი კავშირის ფონზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიული მოცემულობა იქცა „ეთნიკური“ კონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, რადგან საბჭოთა ეთნოპოლიტიკა შეესაბამებოდა იმპერიის საერთო ამოცანებს „ნელი მოქმედების ნალმით“ Divide et Impera-ს (დაყავი და იბატონე) პრინციპით პერიფერიის მართვისა [ხაბეიშვილი 1995]⁹:

ცარიზმისა და ბოლშევიკური რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში მე-19-20 საუკუნეებში, ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც წყლის ორი წვეთი. დაუოკებელი მისწრაფება ქართული კუთხეების ეთნოსებად წარმოჩენისა და მათი ერთმანეთთან დაპირისპირება, ქართველთა და აფსუთათა მიზანმიმართული გადაკიდება ერთმანეთისათვის საბჭოური პოლიტიკის ფუნდამენტური უფლებაა. [ფრუიძე 1999:152-158]

8 „ერთა თვითგამორკვევის უფლება წმიდათაწმიდაა, მაგრამ არც ჰელსინკის ისტორიული თათბირის დასკვნითი აქტი, არც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლი არ გულისხმობს სახელმწიფო საზღვრების ძალისმიერი გზით რევიზიას“.

9 გავისხენოთ აგენტ პ. სიტინის წერილი: „აფხაზეთის გამოყოფა უნდა მოხდეს თანდათანობით, ეტაპობრივად, ჯერ იდეოლოგიური გავლენით, შემდეგ, თუ საჭირო იქნება, იარაღის ძალით“.

ვხედავთ, რომ იმპერიულ ძალაუფლებაზე ზემოქმედების სხვადასხვანაირი რეჟიმები აქტიური და უწყვეტია კოლონიზაციის მომენტიდან. წინააღმდეგობის დისკურსი და ინტერაქცია მთავარია მდგრადობის თეორიაში. მეტროპოლიის მთავრობასა და პერიფერიის მეცნიერებს შორის ჩამოყალიბებული მომგებიანი ურთიერთობა სავსებით ცხადია. როგორც ე. საიდი [საიდი 1995] აღნიშნავს: მეცნიერები გაცნობიერებულად/გაუცნობიერებლად კონტროლისა და დამპყრობელთა გამართლების ახალ იდეოლოგიურ მექანიზმს ქმნიდნენ.

კოლონიზატორული სტრატეგიის საფეხურებიდან:

ა) დაქვემდებარებულის ასიმილაცია/ჰიბრიდიზაცია ენის საშუალებით;

ბ) ისტორიული მითოსის ქმნადობა – გაზვიადებული წარმოდგენების შექმნა საკუთარ წარსულსა და წარმომავლობაზე – შეიძლება ითქვას, წარმატებით განხორციელდა აფხაზეთთან მიმართებაში.

1980-1990-იანი წლების (ქართულ-აფხაზური) მედიური ნარატივი

გლობალურად მიმდინარე დეკოლონიზაციისა და ეროვნული თვითგამორკვევის ფონზე „გაწონასწორებული“ პოლიტიკური დისკუსიის საპირისპიროდ შეინიშნება საკმაოდ მკვახე პოლიტელექსიკის მოძალება. 90-იან წლების, ნაციონალური რიტორიკით გაჯერებულ ქართულ პრესას, როგორც ჩანს, არ ან ვერ გაუთვალისწინებია, როგორ მოიქცეოდნენ: აფხაზეთი (ოსეთი) საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ახალფეხადგმული ქვეყნის ხელისუფლება ოფიციალურ/არაოფიციალურ დონეზე საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს იგივე შეტყობინებებს უგზავნის, რაც თავად მეტროპოლიის ძირითად ნაკლად მიაჩნდა (ორი საუკუნის მანძილზე) და განიკითხავდა მას. უნებურად, ახალი ნაციონალური იდენტობის მატარებელი სუბიექტები (ა. ბაქრაძე, ზ. გამსახურდია [გამსახურდია 1989], მ. კოსტავა, გ. ფანჯიკიძე, დ. მჭედლური, ჟ. ამირეჯიბი [ამირეჯიბი 1990], თ. მიბჩუანი და ა.შ.) „პაწაწინა“ ორიენტალისტებს დაემსგავსნენ.¹⁰ ამ „სიმახინჯის“ გამოვლინება იყო აფხაზეთათვის ტერმინ „აფსუას“ დაკანონების მცდელობა აკადემიურ/საჯარო დონეზე, თანაც აფხაზეთათვის შეურაცხმყოფელი კონოტაციით: „აფსუები იგივე აბაზინელები, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან მხოლოდ

10 უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარ თ. ჯანელიძის აზრით, „ქართული ნაციონალიზმის“ თეორიის დამკვიდრებით დასავლურ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში „ხდება ერთგვარი რუსოფილური მიდგომის იდეოლოგიური ლეგიტიმაცია“.

გვიან შუა საუკუნეებში. 1621 წლამდე არცერთი აფსუა აფხაზეთში არ ცხოვრობდა“ [მიზჩუანი1996; 1998:3; 2001].

როგორც საფუძვლიანად ცხადდება, მეცნიერულმა ვარაუდებმა მთლიანად დაანგრია ქართველ-აფხაზთა ერთიანობის ისტორიული ცნობიერება, ამიტომ მკვლევარი ზ. აბზიანიძე აცხადებს [აბზიანიძე 2000]:

ვიდრე მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდებოდეთ, ჩვენ ყველას გვმართებს ჩვენსავე გულში ჩავინედოთ [...] მომხდარში დანაშაულის ჩვენი წილი განვსაზღვროთ [...], დავივიწყოთ შურისძიება, განვაგდოთ ჩვენი აზროვნებიდან “Homo Bellator” (იარაღიანი ადამიანი).

„ახლაც მოისმენ „მეცნიერულად“ გასაღებულ თეორიებს იმის შესახებ, რომ „დღევანდელი აფხაზები“/აფსუები სხვაგნით მოსული ხალხია, მეორე მხრივ, სრულიად საწინააღმდეგოს, აფხაზები ისეთივე ქართველებია, როგორც ფშაველები ან რაჭველებიო [...], ურევია არ ნიშნავს იმას, რომ ჩერქეზი აფხაზია ან პირიქით“ [თოფურია 2000:7; ვადაჭკორია 1997].

ნაციონალური თავმოყვარეობის გაზვიადება, შესაძლოა, ერთგვარი რეფლექსია აფხაზეთში წაგებული ომის წილ. „ქართული ნაციონალიზმის“ მითოსი, უმცირესობების „ძალდატანებითი გაქართველების“ მცდელობა, ე.წ. გაქართველების თეორია, ეთნიკურ უმცირესობათა „დისკრიმინაცია“ – ასე ახასიათებდნენ გარკვეული დასავლელი ავტორები საქართველოში ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებულ პოლიტიკას 2000-იან წლებამდე [ჯანელიძე 2007:7].

ამდენად, აფხაზური ინტელექტუალური „ელიტა“, სულ ცოტა ორი მიზეზის გამო:

ა) აფხაზთა განთავსება ქართველური ტომობრიობისაგან განსხვავებულ ეთნიკურ არეალში;

ბ) აფხაზი სუბიექტის „სხვა“ თავისიანად წარმოდგენის რესიგნიფიკაცია სამეცნიერო დონეზე.

ზემოთ მოყვანილი მიზეზებით აფხაზური ინტელექტუალური „ელიტა“ ლოგიკურად განაგდებს ქართველ სუბიექტს „საკუთრად“ აღქმული ფიზიკურ-ვირტუალური ტერიტორიიდან ისევე, როგორც თავად ქართული ეთნოსის სუბიექტი რუსიფიკატორს (მით უმეტეს, რომ ქართველი [ქარჩხაძე 1994] მეტადაა ინფორმირებული, ამდენად, მეტი პასუხისმგებლობაც ენიჭება). აფხაზი სუბიექტი კი, გარკვეული ქართული წრეების განცხადებით, „დებინფორმირებულია“ [პაპასქირი 1994:8] რეალურ-ისტორიულ პროცესებზე და იმპერიალისტური სფეროდან იმართება მისი საინფორმაციო პოლიტიკაც.

რაციონალური მეცნიერული პოზიციიდან მოსაუბრე პოსტკოლონიური სუბიექტები, კონფლიქტის მოგვარების ინიციატორები, ყოველთვის ხვდებოდნენ, რომ დაუსრულებელი ხმაური აბორიგენობასთან დაკავშირებით არაფრის მომტანი იყო, გარდა განხეთქილების გაღრმავებისა: წარმოშობის ყველა ვერსია ერთნაირად გამაღიზიანებელი იყო ორიენტირდაკარგული, იმპერიის მიერ მიზანმიმართულად დამუხტული ეთნიკური ერთობისათვის. რეგულარული ძალადობა, რომელიც ახასიათებდა კოლონიურ სამყაროს, იმანენტურად განმეორდა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაშინ, როცა უკვე განადგურდა ძირძველი სოციალური სხეული, ყოფა.¹¹ საქართველოს დამცავი აბაზები, აფსუები თუ აფსარები ქართველურ ცნებასთან გაუცხოებულები იყვნენ იმ მეცნიერული პოზიციებიდან, თუ ინტელექტუალური „ელიტის“ ხელით, საიდანაც ე.წ. „აფხაზური სეპარატიზმი“ გამოიძერწა, აბაზთა ქვეცნობიერება უკიდურეს ზომამდე იყო გაღიზიანებული, მათი არსებობა ქართველურობიდან გარიყეს და ეს ვაკუუმი კი რუსული „ძმური მეგობრობით“ ჩაანაცვლეს.

მკვლევარი უ. გრუსკა [გრუსკა 2000:3] მიიჩნევს, რომ კონფლიქტი აფხაზეთში, ძირითადად, ქართველ და აფხაზ ნაციონალისტებს შორის დაპირისპირების შედეგია. ვფიქრობ, ეს არის კონფლიქტის გაღვივების მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი. მთავარი როლი აფხაზეთის კონფლიქტში ითამაშა რუსეთის სურვილმა, შეენარჩუნებინა პოლიტიკური გავლენა „ახლო საზღვარგარეთში“.

2000-იანი წლების მედიური დისკურსი და კოლექტიური წარმოდგენები

რეზისტენტული ანტიკოლონიური დისკურსის შემოქმედი თანამედროვე (2000–იანი წლების) ქართული პრესა ჯიუტად ცდილობს საკუთარი ისტორიული სიმართლის დასაბუთებას მეტროპოლიის სუბიექტთან პოლემიკაში:

ლიტერატურაში არაა ცნობილი „ქართული კოლონიალიზმის“ ცნება, არსებობს რუსული კოლონიალიზმის გაგება. კოლონიალიზმად არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთარ სამშობლოში/ქვეყანაში (ამ შემთხვევაში აფხაზეთში) ქართველების ცხოვრება და დასახლება. [ჯანელიძე 2007:30]¹²

11 ცნობილია, რომ მუჰაჯირობის ეპოქაში თურქეთში გადასახლებული აფხაზებიდან უკან დაბრუნება მხოლოდ უმცირესობამ მოახერხა, დანარჩენები, არასწორად ინფორმირებულობის გამო, ყველაფერში ქართველებს აღანაშაულებდნენ.

12 აფხაზეთში ქართველების დასახლებას არ ჰქონია მასობრივი ხასიათი, რადგან რუსეთის იმპერია მმართველობის პირველ ეტაპზე მაინც, „აფხაზებს და ქართ-

ორივე მხარემ, ქართულმა და აფხაზურმა, მშვენივრად იცის, რომ კოლონიალისტისაგან თავის დაღწევა მხოლოდ ერთადერთი გზით, მისი ამ სამყაროდან განგდებითაა შესაძლებელი, რაც ერთგვარ მანიქველოზის [პეტროზილო 2011]¹³ რეპრეზენტაციას წარმოადგენს საერთო დონეზე. როგორც ფ. ფანონი [ფანონი 1961] ამბობს, „კოლონისტი არათუ სჯერდება ფიზიკურ სივრცეს, ტოტალიტარული ბუნების გამო, არამედ იგი კვინტესენციას იმით ახდენს, რომ კოლონიზებულ საზოგადოებას ღირებულების არმქონედ აცხადებს. მშობლიური ცხადდება არაეთიკურად, ღირებულებების უარყოფელად, ისაა სემების, მნიშვნელობების მტერი, ანუ აბსოლუტური ბოროტება“ [ფანონი 1961:6]. ამდენად, აფხაზური იდენტობა ქართველთათვის უჩვეულო ტოპონიმ „აფსუაში“ გამოიხატა [სვანტე 2014],¹⁴ აფხაზ ეთნოსზე კი წარმატებით განხორციელდა ექსპერიმენტი, მათი კულტურული კოდების რუსიფიკაციისა.

მცირე ეთნოსის სუბიექტის მიმართება დიდი ეთნოსის სუბიექტის მიმართ, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სექსუალური, რადგან ძლიერს უნდა აიღოს პასუხისმგებლობა სუსტზე, მისი ქალწულებრივი ბუნების შელახვის ფასად. ს. ლეიტონი აცხადებს:

Imperialist ideology made pious protests of Christian kinship with Georgia even as the land was being thrashed into submission [...] By relegating Georgia to the orient into this manner, the writers disclosed precisely the kinds of convictions about alien ‘Asians’ which underlay Russia’s cruel exercise of power over the former protectorate. [ლეიტონი 2005:194]

ვფიქრობ, გაუცნობიერებელი გენდერულობის გამო, ქართული ნომინალური დისკურსი უნებურად განამტკიცებდა არაცნობიერ დონეზე მიმდინარე წინააღმდეგობას, ყოველგვარი ბრალეულობის რუსეთზე „გადატანის“ სახით (აფხაზები კი ქართველებზე გადაბრალებით), მოტივით, თითქოს „ქალწულებრივი ბუნება“ არ შეიძლება იყოს დამნაშავე. პასუხისმგებლობა ჩადენილ ბოროტებაზე ეკისრება გამოცდილების მატარებელ მასკულანურ ხატს: „რუსეთისაგან ტყუილი და მზაკვრობა ვის უნდა გაუკვირდეს. ის არ არის სანდო პარტი-

ველებს, ორივეს ერთნაირად, „არასანდო ხალხებად“ თვლიდა, აფხაზთა დეპორტაციის პარალელურად ქართველებს საქართველოს ამ რეგიონში ჩასახლებას უკრძალავდა და გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე სანდო კოლონისტებს, განსაკუთრებით რუსებსა და სომხებს ასახლებდა.“

13 აქ: სამყარო, როგორც ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება.

14 როგორც საერთაშორისო პოლიტიკური კვლევების ავტორები ადასტურებენ: აფხაზების ნაწილი ქრისტიანია, ნაწილი კი მაჰმადიანი. „საერთოდ, აფხაზები წარმართული ტრადიციების შენარჩუნების, ისლამისა და ქრისტიანობის შერევის და, საზოგადოდ, დაბალი რელიგიური პროფილის საინტერესო მაგალითს წარმოადგენენ“.

ნიორი ნახევარი მსოფლიოსათვის [...] რუსეთის ნდობა ნამდვილად არ შეიძლება“ [იმედაშვილი 1993:4; კალანდია 1999].

ანტიქართულად ანგაჟირებული აფხაზების კოლექტიური წარმოდგენები ჩვენს წარმოდგენებს არ ემთხვეოდა. თვითგამორკვევის პერიოდში (1988-89 წწ.) აკადემიური ქართული საისტორიო დისკურსის „ჩემი“ ანუ ის, რომ: „მე-19 საუკუნეში ქართველ-აფხაზებს რუსული კოლონიალიზმის სახით ერთი დიდი საერთო უბედურება დაატყდა თავს“ [ნიკოლეიშვილი 2002:116-121], ხდება „სხვა“ უცხოვდება ქართული კონტექსტისათვის, რადგან მისი სტანდარტიზებული სახელმწიფო ენა, ფაქტობრივ/იურიდიულად უკვე საკმაო ხანია, რუსულია, პოსტკოლონიურ სწავლებაში ენა¹⁵ აზროვნების სინონიმია, როგორც კულტურის ნაწილი, იგი ისეთივე იარაღია მეტროპოლიური ჩაგვრისა, როგორც ნებისმიერი სხვა მეთოდი. „ენა ყოველთვის იყო სულიერი დამონების იარაღი“ – აცხადებს ნ. ვ. თიონგო [თიონგო 2004].

ვერ უარვყოფთ, რომ საბჭოთა იმპერიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა [მალრაძე 1991],¹⁶ მაგრამ ახალი იდენტობის შემოქმედ საქართველოში, ძალადობით დანერგული არ შეიძლებოდა ძალადობითვე ამოძირკვეულიყო [მინაშვილი 1992:4-5]. ქართველთა მხრიდან სწორედ ამ ტიპის ძალადობაზე აქცენტირებენ ეთნიკური უმცირესობები (ეს შეხედულება პერმანენტულად განიგდება ქართული დისკუსიების ობიექტების მიერ).

შესაძლოა, რომ ახალმა ეთნოსმა მართლაც დაკარგა კავშირი ძველ სამშობლოსთან და სხვა სამშობლო მას, უკვე აფსუად წოდებულს, არ გააჩნდა (ოსებისაგან განსხვავებით) [ჩნიკვიშვილი 1997:12], მაგრამ დეროგაციული ტერმინები მხოლოდ აღრმავებდა სიძულვილს დიალოგის მონაწილეებს შორის და შერიგების თემას გაურკვეველ დროში სწევდა, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებდა „გაყინული კონფლიქტის“ სტატუსს.¹⁷

1980-1990-იანი წლების ნარატივებში აფხაზი სუბალტერნი საკუთარ თავს, ძირითადად, მსხვერპლად აღიქვამდა, ისევე, როგორც,

15 საქართველოს რესპუბლიკის კანონით, ქართულს მიენიჭა ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი, თუმცა კონსტიტუციით, სახელმწიფო ენასთან ერთად, იგივე სტატუსი ენიჭებოდა აფხაზურს, რომელიც რესპუბლიკის მხოლოდ 1/6 ნაწილისთვის იყო მშობლიური.

16 „მაგრამ არც ქართული კულტურის გავლენა რუსეთზე შემოიფარგლება საქართველოს მთაგორიანი ლანდშაფტით, რომელიც აღაფრთოვანებდა და შთააგონებდა არს მწერალთა და მოაზროვნეებს.“

17 ქართველ მეცნიერთა წუხილი: აუცილებელია ინფორმაციით მოწამლულ აფხაზ მოსახლეობამდე სიმართლის მიტანა, ასეთი კი იყო „ისტორია აფხაზი, უჩებნოე პოსობიე“ – წუხილად დარჩა, წიგნი კი ვრცელდებოდა 1991 წლიდან.

თავის მხრივ, ქართველი. ეს „მარტიროლოგიური პარადიგმა“ [ანდრონიკაშვილი... 2012:73-113], უპირველესად, პოლიტიკურ იდეას გულისხმობს.¹⁸

ს. ჩერვონნაიასთვის [ჩერვონნაია 1993:35] ქართულ-აფხაზური [მენტემაშვილი 1995] „ეთნოომი“ კვალიფიცირდა, როგორც „მითი“:

[...]Ни “добровольного”, ни “прогресивного”, ни “независимого от Грузии” присоединения Абхазии к России не было [...] Российское самодержавие, действительно, постепенно продвигается в Закавказье, по кускам, по частям аннексируя страны и поработывая его народы, постоянно чередуя при этом кровавое население с посулами, обещаниями.

ზოგადი საბჭოთა სივრციდან საქართველოს დეზინტეგრაცია არ მომხდარა სახელმწიფოებრივი ზარალის გარეშე. ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, მონოლინგვიზმის დაცვა, უფლებრივი თანასწორობა – ის ძირითადი პრობლემებია, რომლებმაც თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი საქართველომ დაიწყო გამოყოფა ერთიანი საბჭოთა სხეულიდან. ევროპა კი, რომლის მედიატორობაზეც, შესაძლოა, გადაჭარბებულ იმედებს ამყარებდნენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, მოქმედებდა, დ. ჩაკრაბართის [ჩაკრაბართი 2000:28] სიტყვებით რომ ვთქვათ, „როგორც ისტორიული ცოდნის მდუმარე რეფერენტი“.

პოსტსაბჭოთა ქართული ეთნოსის სუბიექტი, ჰომო ექსსოვეტიკუსი [სარაძე 1999]¹⁹, ქმნის რეალობას, რომელსაც საბჭოთა კავშირის ვირტუალური პოსტსაბჭოთა კავშირით შეცვლა უნდა, მაგრამ იგი საკუთარ თავში საბჭოური სტერეოტიპების და მითების დაძლევისკენ არაა მიმართული, რადგან საბჭოთა ხანაში ჩამოყალიბებული პარადიგმების აბსოლუტიზაციას ახდენს. დაქვემდებარებულობის ხანის სააზროვნო მოდელები უკან ბრუნდება და წარსულისაგან გათავისუფლებას ეწინააღმდეგება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, „პოსტსაბჭოთა, ტრავმატულ, მაგრამ მაინც სტაგნაციურ მდგომარეობას საქართველოში, თითქმის არ გამოუწვევია კონფლიქტი კულტურულ სივრცეთა შორის“, – შენიშნავს მკვლევარი ბ. წიფურია სამეცნიერო სტატიაში „კულტურული/სოცი-

18 ტარაგის როლი თავისუფლებს წამების ობიექტს რაიმენაირი პასუხისმგებლობისაგან, რადგან მან უკვე ზღო საკუთარი წამებით, მან უკვე გამოისყიდა ცოდვა.

19 ჰომო სოვეტიკუსი – ყოველგვარ პიროვნულ თავისუფლებას და პასუხისმგებლობის გრძნობას აბსოლუტურად მოკლებული არსება, ღირებულებებზე უარის თქმით იღებს გარკვეულ უსაფრთხოებას სახელმწიფოსაგან, ამიტომ იგი შეეცვალებოდა ტერმინით „ჰომო ექსსოვეტიკუსი“, რადგან ვთვლი, 1989 წლიდან სუბალტერნი პიროვნული თავისუფლების „ილუზიით“ უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებულია წინამორბედისაგან.

ოკულტურული კონფლიქტი გარდამავალ საზოგადოებაში“ [წიფურია 2010:239-251].

2000-იანი წლების პუბლიცისტური მასალის ანალიზი ცხადყოფს საომარი სტერეოტიპების დაძლევის და ეთნიკური ურთიერთობების კულტურულ ფლანგზე გადატანის საჭიროებას არაყალბი, არანაძალადევი მშვიდობისათვის, თუკი მის ნამდვილ საფუძველად ჩავთვლით გულწრფელ სინანულსა და დავიწყებას. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ტერიტორიულ-ადამიანური დანაკარგების გარეშე, სამივე მხარისათვის რელევანტურია.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ კოლონიზატორული სტრატეგიის საფეხურები: დაქვემდებარებულის ასიმილაცია – ჰიბრიდიზაცია ენის საშუალებით, ისტორიული მითოსის ქმნაობა, გაზვიადებული წარმოდგენების შექმნა საკუთარ წარსულსა და წარმომავლობაზე, აფხაზი ეთნოსის კულტურული კოდების რუსიფიკაცია – ამავდროულად, წარმატებული ექსპერიმენტებიცაა, რომელიც მეტროპოლიამ აწარმოა აფხაზეთთან მიმართებაში. რეზისტენტული ანტიკოლონიური დისკურსის შემოქმედი თანამედროვე (2000-იანი წლების) ქართული პრესა კი კვლავაც ჯიუტად ცდილობს საკუთარი ისტორიული სიმართლის დასაბუთებას მეტროპოლიის სუბიექტთან პოლემიკაში. უნდა ითქვას, რომ: 1980-1990-იანი წლებისა და 2000-იანი წლების დისკურსებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სტერეოტიპულობის ძალუმად ნგრევის მოთხოვნილება სწორედ ამ უკანასკნელში იქმნება. ეს კი ხორციელდება კულტურათა დიალოგით, რადგან კულტურა არის იდენტობის ფუნქცია და წყარო, ალტერნატიულად – ყველაზე მძლავრი იარაღი წინააღმდეგობისა პოსტკოლონიურ საზოგადოებაში. ამდენად, სამი ათეული წლის მანძილზე (1980-2000-იანი წწ.) ქართული პერიოდული პრესის ძირითადი ხასიათი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ანტიიმპერიალისტური დისკურსი“, რომელიც არის გარანტი გლობალურ, ცვალებად მსოფლიოში საკუთარი (მცირე ერთა) იდენტობის დაფიქსირება/შენარჩუნებისა.

დამოწმებანი

- აბზიანიძე 2000:** 3. Абзианидзе, “Homo Bellator”, *Дружба Народов*, 12, 2000. <http://magazines.russ.ru/druzhba/2000/12/zaza.html> (12.03.2014)
- ამირეჯიბი 1990:** ჭ. ამირეჯიბი, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, *ლიტერატურული საქართველო*, 21, 1990.

- ანდრონიკაშვილი 2012:** ზ. ანდრონიკაშვილი, „უძღურების დიდება. ქართული პოლიტიკური თეოლოგიის მარტიროლოგიური პარადიგმა“, *პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 73-113, 2012.
- აფხაზეთის ომი:** გ. ნოდია, „კონფლიქტი აფხაზეთში, მიზეზები და გააზრება“, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.32&d=HASH4689fd4c0ebc51d4519144.11> (02.07.2016)
- ახმადულინა...1999:** ახმადულინა, ბიტოვი, ბესტავაშვილი, ვასილენკო, ებანოიძე, გოროდნიცკი, დავიდოვი, ევტუშენკო, ყიგილინი, კორნილოვა, ლეონოვიჩი, ლიბედინსკაია, ნიკოლაევსკაია, ოსოცკი, პრისტავკინი, რიაშენცევი, რენინი, ხლებნიკოვი, „ჩვენ რუსეთელი მწერლები“, *ლიტერატურული საქართველო*, 48, 1999.
- ბეგიაშვილი...2007:** მ. ბეგიაშვილი, დ. ბოსტოლანაშვილი, დ. ლეჟავა, დ. ლოსაბერიძე, მ. მკალავიშვილი, ს. ნოზაძე, გ. ნოზაძე, თბილისი, „სატიტულო ეთნოსი“, *დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა*, 2007. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6508> (07.05.2014).
- ბრეგვაძე 2002:** ც. ბრეგვაძე, „რუსული სისასტიკე“, *ასი (100) მწერლის გაზეთი*, 29, 2002.
- გამსახურდია 1989:** ზ. გამსახურდია, „სამეგრელოს საკითხი“, *ლიტერატურული საქართველო*, 44, 1989.
- გასვიანი 1994:** თ. გასვიანი, „ცრუ ლეგენდები“, *ლიტერატურული საქართველო*, 33, 1994: 6.
- გელაშვილი 1994:** ნ. გელაშვილი, „ზუსტი შეფასების ძიებაში“, *ლიტერატურული საქართველო*, 1, 1994.
- გრიშაკაშვილი 2002:** ა. გრიშაკაშვილი, „გამარჯობა, აფხაზეთო! მშვიდობით, საქართველო?!“, *ლიტერატურული საქართველო*, 32, 2002.
- გრუსკა 2005:** Gruska, Ulrike: *Separatimus in Georgien. Moglichkeiten und Grenzen friedlicher Konfliktregelung am Beispiel Abchasiens*, Arbeitspapier Nr. 1/2005, Universitat Hamburg – IPW, 2005.
- გუგეშაშვილი 2001:** თ. გუგეშაშვილი, „გუშველოთ საქართველოს“, *ასი (100) მწერლის გაზეთი*, 3, 2001.
- დიუიე 2010:** C. Douillet, “The Quest for Caribbean Identities: Postcolonial Conflicts and Cross-Cultural Fertilization in Derek Walcott’s Poetry”, *Ameri Quests*, vol. 7, no 1, 2010.

- <http://ejournals.library.vanderbilt.edu/index.php/ameriquests/article/view/169/183> (18.02.2015)
- ვადაჭკორია 1997:** შ. ვადაჭკორია, „აფხაზეთის საკითხი 20-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში“, *ცისკარი*, 12, 1997.
- თიონგო 2004:** Ngugi wa Thiong'o. Decolonising the Mind. in: *Colonial, Post-Colonial, and Transnational Studies, Literary Theory: An anthology*; Second edition, Edited by Julie Rivkin and Michael Ryan, Blackwell publishing, 2004: 1130.
- თოფურია 2000:** პ. თოფურია, „ხრუშჩოვი, აფხაზები და ქართველები“, *ლიტერატურული საქართველო*, 51, 2000.
- იმედაშვილი 1993:** კ. იმედაშვილი, „გავთავისუფლდეთ შიშისგან“, *თბილისი*, 38, 1993.
- კალანდია 1993:** გ. კალანდია, „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით“, *ლიტერატურული საქართველო*, 43, 1993.
- კორნელი 2014:** S. Cornell, Religion as a Factor in the Caucasian conflicts, 2014. <http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/svanticornell.shtml> (14.03.2015)
- ლეიტონი 2005:** S. Layton, Russian Literature and Empire. Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy, Cambridge: Cambridge University Press, 2005.
- მალრაძე 1991:** დ. მალრაძე, „ისტორიული პარალელები“, *მნათობი*, 6, 125-149, 1991.
- მენტეშაშვილი 1995:** ა. მენტეშაშვილი, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და რუსეთი“, *პოლიტიკა*, 1995.
- მიბჩუანი 1996:** თ. მიბჩუანი, „აფხაზები და აფხაზური ენა“, *ლიტერატურული საქართველო*, 26, 1996.
- მიბჩუანი 1998:** თ. მიბჩუანი, „მეცნიერული ცუდლუტობა გრძელდება“, *ლიტერატურული საქართველო*, 50, 1998.
- მიბჩუანი 2001:** თ. მიბჩუანი, „მეცნიერული უმეცრება აფხაზმცოდნეობაში“, *ლიტერატურული საქართველო*, 29, 2001.
- მიმინოშვილი...1989:** რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე“, *ლიტერატურული საქართველო*, 48, 1989.
- მინაშვილი 1992:** ს. მინაშვილი, „ფაზილ, ჰაი, ფაზილ“, *ლიტერატურული საქართველო*, 5, 1992.
- მიშველაძე 2002:** რ. მიშველაძე, „მტერს მტერი დავარქვათ“, *ასი (100) მწერლის გაზეთი*, 13, 2002.
- მური 2001:** Moor, D., Ch. “Is the Post-in Postcolonial the Post-in Post-Soviet? Toward a Global Postcolonial Critique”, *PMLA, The Modern Language*

- Association of America, Officers for the Year*, Ed: Carlos J. Alonso, 2001, 111-128.
- ნიკოლეიშვილი 2002:** ა. ნიკოლეიშვილი, „გიორგი შერვაშიძე“, ცისკარი, 6-7, 2002.
- ონიანი 1999:** ა. ონიანი, „ისევ და ისევ აფხაზეთის უძველეს ბინადართა შესახებ“, *ლიტერატურული საქართველო*, 45, 1999.
- პაპასქირი 1994:** ზ. პაპასქირი, „უმეცრობის ფართი-ფურთი“, *ლიტერატურული საქართველო*, 25, 1994.
- პეტროზილო 2011:** პ. პეტროზილო, „მანიქეველობა“, *ქრისტიანობის ლექსიკონი*, 2011. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=949> (17.08.2014)
- როგავა 1997:** გ. როგავა, „ცარიზმის შოვინისტური საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში“, *პოლიტიკა*, 7-9, 1997.
- საიდი 2006:** Said, E. W. *Orientalism*, New York: Pantheon Books, 1978, 1995 // Русский Миръ, 2006. А. В. Говорунов, перевод, 2006.
- სანიკიძე 1994:** ლ. სანიკიძე, „გვეკითხა მაინც“, *თბილისი*, 66, 1994.
- სარაძე 1999:** ზ. სარაძე, „ჰომო სოვეტიკუსი“, *საზოგადოება და პოლიტიკა*, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი, თბილისი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10805> (8.09.2015)
- ტოლიაშვილი 2002:** კ. ტოლიაშვილი, „რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“, *მნათობი*, 9–10, 2000.
- ფანონი 1961:** F. Fanon, *The Wretched of the Earth*, Grove press, Broadway, New York, translated by Richard Philcox, 1961, 1984.
- ფანჯიკიძე 1993:** გ. ფანჯიკიძე, „საქართველო ახლა ჰგავს ჩასაძირად განწირულ ძირგამომპალ ნავს“, *ლიტერატურული საქართველო*, 43, 1993.
- ფანჯიკიძე 1994:** გ. ფანჯიკიძე, „კითხვები დახვრეტის შემდეგ“, *ლიტერატურული საქართველო*, 15, 1994.
- ფანჯიკიძე 1995:** გ. ფანჯიკიძე, „საით მიდის ადამიანი“, *ლიტერატურული საქართველო*, 15, 1995.
- ქარჩხაძე 1994:** ჯ. ქარჩხაძე, „როცა სამსხვერპლოზე შენი ქვეყანაა“, *ლიტერატურული საქართველო*, 8, 1994.
- მედია და სტერეოტიპები:** *შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში: თავი მეოთხე*. <http://www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-01-11-ru-00---10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-0>

fZz-8-00&a=d&cl=CL1.32&d=HASH09424f8a61f0e82a221717.4.1
(25.04.2014)

ჩაკრაბარტი 1961: D. Chakrabarty, *Provincialising Europe*, Princeton: Princeton University Press, 2000.

ჩერვონნაია 1993: С. М. Червонная, *Абхазия – 1992: Посткоммунистическая (Грузинская) Вандея*, Москва, 1993.

ჩხიკვიშვილი 1997: ც. ჩხიკვიშვილი, „ჟურნალ “Mind and Human Interaction”-ის რედაქტორს,“ *ლიტერატურული საქართველო*, 15, 1997.

წიფურია 2010: ბ. წიფურია, „კულტურული/სოციოკულტურული კონფლიქტი გარდამავალ საზოგადოებაში,“ *წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული*, 2, 2010.

ხაბეიშვილი 1995: თ. ხაბეიშვილი, „საქართველო დასაშლელად მზადაა,“ *თბილისი*, 186-189, 1995.

ხომტარია-ბროსე 2001: ე. ხომტარია-ბროსე, „რა „საბედისწერო შეცდომა“ დაუშვეს იაკობ გოგებაშვილმა და სხვა ქართველებმა,“ *ლიტერატურული საქართველო*, 13, 2001.

ჯანელიძე 2007: თ. ჯანელიძე, *აფხაზეთის კონფლიქტი და რუსეთი დასავლეთის პოლიტიკურ კვლევებში*, თბილისი, 2007.